

კიდევ ერთხელ



ბიო ახალი ფორმა, თუნდაც ცი-
სვეტი, ახალ თამაშს სულაც
არ გულისხმობს.

იმითომ, რომ ახალი თამა-
ში, სულაც არ ნიშნავს, რომ
ახალი ხალხი გამოიყვანო მინდორზე. ყოველ ჯერზე
ახალი, ახალი და ახალი. მეორე მხრივ კი, ახალი უნდა
გამოიყვანო, აბა, რა. მაგრამ, მართო ევ ხომ არ არის,
რომ გამოიყვანო, თუმცა, სწორედ ევ არის, რომ გამოიყ-
ვანო. ამართლებს ხოლმე. ვინ მეტყვის, რატომ ვერ მო-
ხვდა სქოთების ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე? მაგრამ
ამის გაუთავებლად ძახილს, შეიძლება, სხვა რამეების
გაუთავებლად ძახილი მოჰყვეს.

ამას წინათ ვიკითხე, ლატვიას რატომ ვეთამაშებით-
თქო. ხომ შეიძლება, რომ ვიკითხო? და მითხრეს, კაი
პონტია სეზონის მოგებით დაწყებაო. მარშან ამ დროს
თურქებს მოვუკეთ და ძვლების ისეთი ჭახაჭუხი აკუ-
ტებთ იმ ამხანაგურობაში, რომ არა მგონია, ჩვენთან
ამხანაგური ხშირად მოუნდეთ, თუ, რა თქმა უნდა, რა-
ღაც განსაკუთრებულად საჭიდაოს რეპეტიცია არ სწყუ-
რიათ. წლეულს კიდევ, აბა, ჰა, ლატვია.

მინდორი მართლაც ცული იყო, მომატავეებისთვის უკა-
რგისი. ლატვიელები არ მატაობდნენ. ჩვენები ცდილო-
ბდნენ მატაობას. ათიოდ წლის წინათ, საქართველო რომ
ინგლისს დაეჯახა, როგორც მახსოვს, ბობი რობსონმა
თქვა, ევ ისეთი გუნდია, ორ წელიწადში ერთხელ რომ
გაისვრის ხოლმე და ამითომ ფრთხილად უნდა ვიყოთო.
აბა, ათი წელი გავიდა და თუ ისევ იგივე არ არის...

ტოპიოლერს თავიდან შედეგებზე ველაპარაკებოდი.
ახლა ისევ თამაშზე მოგვიწვევს ლაპარაკი. საერთოდ კი-
დევი, აბა, ვინ მეტყვის, რა უჭირს ამ კაცს ნაკრებში, ან
რა ულხინს, რას ელის და რა არ გამოსდის. ვერაინაც
ვერ მეტყვის, იმიტომ, რომ ამისა არავინ არაფერი იცის.
საერთოდ, ტოპიოლერი კარგად ჩაერთო საქართველოს
ტრადიციულ, პრობლემათა ართქმის, მათი სადღაც მო-
ფარებულში მოგვარების ხელოვნებაში. ბოდიში ამ თამა-
შისთვისო და, წავიდა. ბოდიში პრობლემა არ არის, არც
არავინ ითხოვს, მომიბოდიშეო. არც არავის შეაქვს ეჭვი,
რომ მწვრთნელს მხოლოდ საუკეთესო უნდა. ოთხშაბათს
ისეთი არაფერი მომხდარა, აღრე რომ არ გვენახოს. უფრო
საინტერესო იქნებოდა, „რატომ?“

ნაკრების არც ერთ მწვრთნელს არ უთქვამს ჩვენთვის,
რატომ აგებს უაზრო თამაშებს.

ფრანგებთან და იტალიელებთან რომ ვაგებდით, აზრი-
ანი თამაშები იყო. მოსაწონიც კი. იმის შემდეგ წელი-
წაღნახევარი გავიდა. რამე უკეთესობა არის? ან უარე-
სობა? თუ მართო რაგბის მივაწვეთ და პირდაპირ ვიცო-
დეთ, რომ ფეხბურთში სამოყვარულო ნაკრები გვყავს?
ეს რომ ვიცოდეთ, მაშინ სადარდებელი აღარაფერია. და,
გინდაც სამოყვარულო. მოყვარული ხომ იმიტომ თამა-
შობს, რომ უყვარს. ოღონდ ეგაა, რომ არ გამოსდის,
რადაკები არ იცის, ცდილობს, ან სულაც ერთობა.

ლატვია ისედაც ჩვენზე წინ არის ყველაფერში. წესით,
ფეხბურთშიც უნდა იყოს. ევროპაზეც გავიდა წინა ვითა-
მაშებაში, მაგრამ ეს ოხერი ფეხბურთი ხომ დემოკრატი-
ული თამაშია. ევროკავშირში ყოფნას არ გულისხმობს.

მოკლედ, ბევრი ვერაფერი გავიგე ამ საქმისა.

ფეხბურთს რომ უყურებ და რაგბიზე ფიქრობ, რას
უნდა ნიშნავდეს?

მგონი, იმედს.

აი, ასე აქვს საქმე ჩვენს ფეხბურთს. სამაგალითო
აღარავისთვისაა, მაგალითი სხვაგან უნდა ეძებოს. ერთი
რამეც არის: ფეხბურთი სახალხოა და ის ხმაურში იქმ-
ნება. დუმილი და ჩურჩული არ უხდება.

ნეტავ, შემოდგომა მალე მოვიდეს, ეგებ ისეთი რამ
მზადდება, იმეილში რომ დაჰკრავ refresh-ს და ყველა-
ფერი რომ ძველია და მაინც ახალი აქვს წამატებული.
მაინც იმედის ამბავია, მაგრამ, ჰა... იმედი, იმედი და
მხოლოდ ახალი ფორმის ყურება?

ჩვენ და რუსები!

ერთა თასზე
ორნილა
დავრჩით

მუხაბისბან
ფოთლები
დავტოვათ



საქართველოს
სპორტის ფედერაცია

ნოდარ ახალკასი: პაბრიკელები და ვილაპარაკებთ

საქართველოს ნაკრებში საქმეები რომ ისე კარგად არ არის, როგორც გვსურს, ეს ლატვიასთან ამასწინანდელმა მატჩმაც აჩვენა და მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამაც დაადასტურა. ეროვნულ გუნდს პრობლემები მართლაც აქვს, თუმცა რა დოზით, ეს ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობამ უკეთ იცის... ერთი ისიც ითქვას, რომ ლატვიასთან ნაგებული მატჩის შემდეგ მწვრთნელ კლაუს ტომპიოლერს ხელმოსანერად თითქმის გამზადებულ კონტრაქტს აღარ გაუგრძელებენო, თუმცა დღეს ეს უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგანაც ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკასი ამბობს...

— კლაუს ტომპიოლერთან ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე ფორმლობები დაიწყო, რომელსაც უახლოეს დღეებში მოვაგვარებთ. ვფიქრობ, რომ ამ ორ კვირაში ყველა საკითხი მოგვარდება და პრეზენტაციაც ისე მოეწყობა, როგორც ეს ორ წლის წინ კლაუს ტომპიოლერთან პირველი კონტრაქტის ხელმოწერისას იყო.

— ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებში რაღაც პრობლემებია...

— ისიც ითქვას, რომ ნაკრების მომავალი შეკრებისას, ან მანამდეც, ჩვენ ერთმანეთში

ვისაუბრებთ. ყველანაირი საკითხი შიდაგანხილვის თემა იქნება...

— ალბათ ლატვიასთან ამასწინანდელ მატჩზეც ილაპარაკებთ...

— დიახ, აუცილებლად, ჩრდილოეთ ირლანდიასთან მომავალ მატჩამდე, ცხადია, ლატვიასთან შეხვედრასაც შევხებით და ეროვნული გუნდისთვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხზე ვისაუბრებთ. თამაშის წესები ჩვენთვის ერთია, უნდა ვითამაშოთ იმისთვის, რომ ქომაგმა გაიხაროს და უნდა ვითამაშოთ საერთო წარმატებისთვის. ამ საქმეში

კი ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს.

— გუშინწინ კლაუს ტომპიოლერთან ერთად სახელმწიფო კანცელარიაში იყავით და ისიც ითქვას, რომ მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელების საკითხი სწორედ მაშინ გადაწყდა...

— არა, ამ ამბავს ვერ დაედასტურებ. კანცელარიაში მართლაც ვიყავით, ოღონდ იქ საუბარი ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე იყო... იცით, ლატვიასთან ამხანაგური მატჩის „ეროვნულზე“ ჩატარება სწორედ თამაშის დღეს, 2 საათზე გადაწყდა, მსაჯების ნებართვის შემდეგ...

— მოკლედ, ტომპიოლერთან კონტრაქტი თებერვალში გაფორმდება?

— ასე გვსურს. ტომპიოლერთან კონტრაქტზე ხელმოწერისას, იმავე შეხვედრაზე, ვფიქრობ, სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელების ვინაობა გამოცხადდება და ყველა იმ საჭირობო საკითხზეც ვისაუბრებთ, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა...



პოლა ინასარიძე



შოთა არველაძის ლეკანტა შეუერთდა

შოთა არველაძემ და მისმა თანაგუნდელებმა „ლეკანტეს“ ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენეს.

„დღემდე თავი მშვიდად გვეჭირა, თუმცა ვითარება აუტანელი გახდა. იმედი გვაქვს, რომ „ოსასუნასთან“ მატჩამდე ყველაფერი მოგვარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაკუთრებულ ზომებს მივმართავთ“ — წერია ფეხბურთელთა განცხადებაში.

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, კლუბის დავალიანებამ წინა სეზონში სახელფასო ფონდის 60-80 პროცენტი შეადგინა, ახლა კი უკვე 85 პროცენტია.

გეხსოვებათ, ამის გამო ცოტა ხნის წინ შოთამ სასამართლოშიც იჩივლა.

მიხეილ შოტოლიანი დაშავებული ასათიანი და ახალწვეული მუჯირი ლოკომოტივი თურქეთში წავიდა



მოსკოვის „ლოკომოტივი“ გუშინ მესამე, თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან ორი ქართველი იახლა — მაღსაზ ასათიანი და დავით მუჯირი.

რამიდ რახიმოვის გუნდი ბელეკში 20 თებერვალამდე დარჩება და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს, 24 თებერვლიდან კი რკინიგზელები ავსტრიაში გადაინაცვლებენ.

ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში დაშავებულ ასათიანს ფეხი კი აწუხებს, თუმცა კლუბის ექიმები ირწმუნებიან, საშიში არაფერია და დღე-დღეზე მაღსაზი სრული დატვირთვით ვარჯიშს შეძლებსო.

ბასა ზალაგაბიძე

geo_geo_fan@hotmail.com

ყველაფერში დახმავავე დინამო

GEORGE GEO: სალაში „სარბიელს“. მართალი ვითხრათ, არ ვაპირებდი დაწერას, მაგრამ იმდენი გულშემატკივრის მიერ გამოთქმული გულსტკივილი წავიკითხე, რომ ვიფიქრე, გავალ, გავივლი, ხალხს გავვერვი-მეთქი.

ისევე წლის წარმატებით დაწყების სურვილი, ახალი შესარჩევის მოლოდინი და ციკლის წარმატებით დასრულების იმედი. გულმა რეჩხი მიყო, როცა კეთილშობილი ქართველი ფეხბურთელების წინასამტჩო განცხადებებს, აუცილებლად უნდა მოვივითო. ამასწინანდელ კოსმოპოლიტურ მიმოხილვას დავესესხებო და ვიტყვი — არა, ბიბიკოვო, „ფარერებს“ რომ ვუგებთ, ის გუნდი ვართ ჩვენ! ერთი გავვივარდა ყარაულის თოფით და ისიც მამაცი და უიღბლო შოტლანდია შევიწირეთ. საწყლები, ერთი ფეხით ვეროპაზე იყვნენ. საყვედური როგორ ვუთხრა, მაგრამ ეს რა გვიქნა 30 წლის წინანდელმა „დინამომ“. რომ იგებდნენ იმ ტიტულებს და ჩაროზად ვეროპული თასი დააყოლეს, არ უნდა ეფიქრათ, რომ მას მერე ათეული წლების განმავლობაში იმ ძველ ამბიციებს ვეღარ გავექვევდით? აგერ სულ ევროპას და მსოფლიოს მოვითხოვთ და ჩვენც ყველა ციკლის დასაწყისში ამას გვპირდებიან.

ისე, ვგეტყვით ვართ ქართველები, თავისით გვიანდა მოვიდეს ყველაფერი. ლეკანტაც კი გამოვივინეთ — ტერიტორიების დანაწილებისას ვკეიფობდით და ამიტომ ღმერთმა თავისთვის გადადებული ქვეყანა მოგვცაო. ქართული ფეხბურთის წარუმატებლობის მიზეზების გაანალიზებას ვცდილობთ, ეროვნული ჩემპიონატის დონის ამალვებას და ა. შ. ამ დროს კი, ჩემი აზრით, ჩაკეტილ წრეში ვართ. ბიზნესმენი არ გამოიძებნა, ქუთაისის „ტორპედოს“ უმაღლესში დასარჩენად, თუ არ ვცდები, 300 000

გადაეხადა. ბიზნესმენებსაც უნდა გავუვოთ, მათ რა ხეირი ექნებოდათ აქედან? რა შედეგავთბია ასეთი საქმიანობისთვის დაწესებული სახელმწიფოს მხრიდან? სახელმწიფოსაც თავისი არგუმენტები ექნება და თუ გავაგრძელებთ, ჯაჭვიც შეიკვრება...

ტომპიოლერის ფანი არ ვარ, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ მწვრთნელი ისეთივე რამეა, როგორც თურმანიდის მალამო (ან სხვა, ნებისმიერი წამალი), ზოგს შევლის და ზოგს — არა. თუმცა, თავს არ ვიმართლებო, იძახის სულ ეს კაცი. ალბათ იმიტომ, რომ გასამართლებლად აქვს საქმე. ისე ტომპიოლერი კარგად შეეწყო საქართველოს — ჩვენამდე არაფერი იყო, ნაკრები არ არსებობდა, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ და ა. შ.

გულშემატკივრების მიერ გამოთქმულ აზრს, ფედერაციის წინ აქციები მოვაწყოთო, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვუყურებ. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე იმდენი ხალხი იყო გამოსული, შედეგი იმან არ გამოიღო და ფეხბურთის გულშემატკივრების პროტესტი შეცვლის მწვრთნელს? არადა, აჯობებდა, სანამ ინგლისელები კაპლოს თვალწინ ავაცლიდნენ, ფული შეგვევგროვებინა და ნამდვილი მწვრთნელი გვეყრებოდა. მართალია, აღარ იქნებოდა მატაობა, კალაძის ცენტრფორვარდობა და მიდი-მოვიდვარ თამაში, მაგრამ შედეგის მიღების ალბათობა გაცილებით გაიზრდებოდა.

გულშემატკივრობა არ ვიციოთ, გუნდს ბოლომდე უნდა უერთგულო, წაგების (უფრო სწორი იქნება, წაგებების სერიის) შემთხვევაშიც გველით უნდა დაუდგო. კი ბატონო, როდესაც შარშან ჩემმა 8 წლის ბიჭმა მითხრა — მამა, როდემდე უნდა ვიაროთ სტადიონზე, ხომ ხედავ, სულ ვაგებთო — გული მომიკვდა. მე მის ასაკში სეზონური აბონემენტი მქონდა და მა-

მჩემთან ერთად თამაში არ გამომიტოვებია. მაგრამ მერე დავევირდი, რატომ უნდა ჩამოუყალიბდეს ბავშვს „წაგებულის ფსიქოლოგია“? ახლა არ მითხრათ, მარტო ნაკრების თამაშებზე რატომ დაგვაყვს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზეც წაიყვანეთ. ხომ იცით, რომ „სვარკა“ თვალებს აფუჭებს. გულშემატკივრობა არ ვიციოთ კი არა, ჩვენი ქვეყნის ჰიმნის შესრულების კულტურა არ გვაქვს. 19-წლამდელების თამაშზე ჰიმნი რომ დაუკრეს, ახლომავალი მარტო მე და ჩემი შვილი ვმღეროდით, ამაზე უკანა რიგებში გაციანათ კიდევ. არადა, ბავშვის ფსიქოლოგია ძალიან სათუთი რამეა, აჯობებს, მარტო რაგბის ნაკრების თამაშებზე ვატარო.

თუ ეს ჩემი ნაცოდვილარი ვინმე წაიკითხა, შაბათის მატჩის ანგარიში უკვე ეცოდინება და შეიძლება, გავტყუებდე კიდევ, მაგრამ ერთი რამ ნაღდა — შედეგის მიუხედავად, ჩვენი მორაგებები არასოდეს დამატოვებინებენ სტადიონს სირცხვილის გრძობით.

რაღაც ძალიან ბევრი სათქმელი დამგროვებია, მაგრამ ბოლოს ერთ ამბავსაც მოგახსენებთ. როდესაც ლატვიასთან თამაშის შემდეგ ერთ ქართველ ფეხბურთელს ჰკითხეს, შესვენებისას რა ვითხრათ მწვრთნელმა, უპასუხა — ასე ვითხრა, დაშვებული შეცდომები უნდა გამოვასწოროთ და გოლეებიც გავიტანოთო. მე, ისევე როგორც ყველა ქართველი გულშემატკივარი, ფეხბურთის უდიდესი სპეციალისტი ვარ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შესვენებაზე თამაშის განწყობის და ტაქტიკური გადაადგილების შესახებ საუბარი ნამდვილად არ ღირს, თუკაც ტომპიოლერის კლასი მაინც ეჭვს იწვევს. მას თავიდან ასე უნდა დაეწყოს — ჯივრით, ბიჭებო! — მერე ისე, როგორც ტექსტშია.

geo_geo_fan@hotmail.com



ანატოლი პისკოვეცი



ალექსანდრ ომელიანოვი

ქვემოქართულების უჩვეული დერბი ანატოლი პისკოვეცი: მომზადება სუთიანზე, ჯერი შედეგზე

„ჩვენ ყველა მატჩში მოსაგებად გავალთ მინდორზე, ასე რომ, მიზანიც მაქსიმალური გვაქვს. დრო გვანახებს, პირველ წრესთან შედარებით, დავსუსტდით თუ პირიქით. რისი იმედიც ნამდვილად მაქვს, „ოლიმპი“ გამართულ ფეხბურთს ითამაშებს“ — გვითხრა „ოლიმპის“ უკრაინელმა თავადაცმა ანატოლი პისკოვეცმა, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ.

პისკოვეცთან ინტერვიუს დავუბრუნდებით, მანამდე კი ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონმა ურეკულ შეკრებაზე ბოლო ტესტ-მატჩი ბოლნისის „სიონთან“ გამართა.

ქვემოქართულთა დერბი 1:1 დამთავრდა, გუნდებმა კი ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, ორბელიანი, ჭიჭვიანი, კახელიანი, ხუბუა, გაბედავა, გეჭაძე, სტეფანიანი, ზ. მეტრეველი, ომელიანოვი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: შყრილაძე, დევირაძე, ჯოჯუა, ყრუაშვილი, სეზისკვერიაძე, მგელაძე, კ. კვარაცხელია, ნ. ლაბაძე.

სიონი: ბობიაშვილი, ქურასბელიანი, სვანიძე, ფრიდოლინი, კ. ჩხეტიანი, ვ. ოქროპირიძე, სანიკიძე, ბ. ნოზაძე, ლ. ბაგელიძე, შაკვულიძე, შ. ჯიქია.

მეორე ტაიმში შევიდნენ: მ. ოქროპირიძე, კობაური, ზ. ჭელიძე, ჩასევი, კვიციანი, ზ. ავალიანი.

შეამჩნევდით, „ოლიმპის“ შემადგენლობაში ახალი სახეა — უფრო სწორად, ძველ-ახალი: უკრაინელი ფორვარდი ალექსანდრ ომელიანოვი პისკოვეცის გუნდს „თანამებობის“ თასზე“ ახლდა და გოლებიც

შეგლო. მასთან ერთად, „ოლიმპის“ კიდევ ორი ლეგიონერი ჰყავდა. სანკტ პეტერბურგში, თუმცა მათ სხვა გუნდები მონახეს, ომელიანოვმა კი რუსთაველებთან 1:1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„სიონთან“ ანგარიში პირველ ტაიმში სწორედ ომელიანოვმა გახსნა, მეორე ნახევარში კი ლევან სანიკიძემ გაათანაბრა. ისიც უნდა ითქვას, რომ საგოლე მომენტების რაოდენობით, ბოლნისელებმა რუსთაველებს აჯობეს.

პო, „სიონი“ 19 თებერვლამდე დარჩება ზღვისპირეთში და კიდევ 4 მატჩს გამართავს: 12 თებერვალს „დილასთან“, 15-ში „მგლებთან“, 18-ში „მერანთან“ და 19-ში „ბათუმთან“.

აქვე ვთქვათ, რომ კახა ჩხეტიანისა და მიხეილ კობაურის გუნდში დარჩენა გადაწყვეტილი ამბავია.

ახლა კი პისკოვეცს მიუბრუნდეთ:

— 17 თებერვალს საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩი გაქვთ „ზესტაფონთან“. მანამდე სად მოემზადებით?

— ურეკულ შეკრება ნაყოფიერი გამოვიდა. საერთოდ, ზამთრის შესვენებისას მშვენივრად მოემზადეთ. 17-მდე კი რუსთავეში ვივარჯიშებთ.

— ბევრი ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან, შევსება კი არცთუ სოლიდურია...

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავსუსტდით, პირიქით, ოპტიმისტურად ვუყურებ სეზონის განახლებას. თამაშები გვაჩვენებს. საერთოდ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც

გინდა, ყველა სასურველ ფეხბურთელს ვერ იყიდი, მაგრამ განვილი შეკრებაზე გუნდი ჩემს დავალებას მშვენივრად ასრულებდა, უფრო გამართული ვახდა...

— „ოლიმპის“ მიზანი რა იქნება? უფრო თასზე გადაიტანთ აქცენტს?

— ჩვენ ყველა მატჩში მოსაგებად გავალთ. ესე იგი, მაქსიმალური მიზნები გვაქვს.

— „ზესტაფონთან“ გასვლის შესახებ როგორ შეაფასებთ?

— თანაბრად. ვიცით, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ ჩვენც არ ვართ სუსტები.

— გუნდის დაკომპლექტება უკვე დაასრულეთ?

— ალბათ, კი. რამდენიმე დღე დარჩა ფეხბურთელების შესამატებლად და ვერჯერობით, კონკრეტულად ვინმეს გადმოყვანაზე არ არის ლაპარაკი. ისე კი, გამოიცხადებული არაფერია... 22 ფეხბურთელი აუცილებლად გვეყოლება.

— ახალწვეულ ომელიანოვზე რას გვეტყვით, მისი თამაში ჯერ მაინც უცნობია ქართველი გულშემატკივრისთვის...

— განა მარტო ომელიანოვი ახალწვეული?

— არა, მაგრამ ბოლო დღეებში ხომ მხოლოდ იგი შეიმატეთ...

— ომელიანოვი სწრაფი, მოძრავი ფეხბურთელია. სანკტ პეტერბურგშიც დაამტკიცა, რომ მცველებისთვის საშიშია. კარგად მოძრაობს უბურთოდ. ახლა ადაპტაციას გადის საქართველოში, მაგრამ ვფიქრობ, ამისთვის დიდი ხანი არ დასჭირდება.

ილია ნანოზაშვილი

პირველი და უმაღლესი ხელოვნურზე გათანაბრდა

ბაზრა 3:3 აშერი
0:1 დავითაშვილი (13), 0:2 გოცირიძე (20), 2:1 მეტრეველი (35), 2:2 კორიფაძე (56), 3:2 აბაშიძე (63), 3:3 დეკანოზიძე (85)

კორიფაძემ ვერ გაიტანა პენალტი (56, მკარე)

ბაზრა: ბათიაშვილი (ხოშორიკი 46), ტეტუნაშვილი, ჩოჩია, ქავიაძე, თ. მეტრეველი (თოთაძე 46), ლალიანი, ხელაძე (ზ. ყიფიანი 46), გ. აფციაური (ზ. დათუნაშვილი 46), სუხიშვილი (კორიფაძე 46), სეთურიძე (ჯალიაშვილი 54), აბაშიძე

მწვრთნელი: გიორგი ჭიბაბრიშვილი
აშერი: ლ. ნადირაშვილი, მესხი, დავითიძე, ჩიკვილაძე, დიდავა, დობროვოლსკი (ელბაძე 62), დეკანოზიძე, სილაგავა, შალამაიერიძე (ხუციძე 78), რ. გოცირიძე, ს. დავითაშვილი (ჩიშკაძე 66)

მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა
გაფრთხილება: დობროვოლსკი (32), ნადირაშვილი (56), მესხი (81)
მსაჯე: ლ. ფანიანი

„ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე მორიგი ტესტ-მატჩი გამართა „ამერმა“. ამჯერად, „ყვი-

თლების“ მეტოქე პირველიველი „გაგრა“ გახლდათ, რომელიც ახლახან დაბრუნდა თურქული შეკრებიდან.

კიდევ სცადეთ... ზესტაფონი ჩასვას მიუბრუნდება?

თამურ მასარაძის „ზესტაფონი“ გუშინწინ ჩამოვიდა თურქული შეკრებიდან და დღეს განახლებს ვარჯიშს. შემადგენლობაში ცვლილებები არ არის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, გუნდს ერთი თავდამსხმელი შეემატოს — როგორც იცით, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივს“ დაუბრუნდა და მართალია, იქ არ რჩება, მაგრამ ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ „ზესტაფონში“ დაბრუნდეს. ნიკა გელაშვილმა კი ხერიანად ვერც მოასწრო ფეროვლებში გადასვლა, რომ მძიმე ტრავმა მიიღო.

მოკლედ, „ზესტაფონს“ ფორვარდებიდან ზურაბ იონანიძე, ბექა გოციანიძე, ეტერი ბიტოლი და გოგი ფიფია შერჩა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფიფია უკანდაწვეული ფორვარდია, იმერლებს ნაღდად სჭირდებათ ერთი ცენტრფორვარდი.

როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, ზესტაფონელებმა ერიკ რომელი ჩა-



ერიკ რომელი ჩასვას

ბადრი კითხილაძე ფოტო

სემის გადაბირება კიდევ ერთხელ სცადონ: თუმცა ეს ჯერ ვარაუდია, როგორ იქნება საქმე, ამ დღეებში ვნახათ...

14 თებერვალს კი ზესტაფონში დიდი ღონისძიება იგეგმება — ადგილობრივი ხელისუფლება იმერულ კლუბს შეხვდება, საქმიანი საუბარიც იქნება და ჩემპიონატ-თასზე გზასაც დაულოცავს. ეს შეხვედრა ფეროს კულტურის კლუბში გაიმართება.

ილია ნანოზაშვილი

ქვემოქართულის გოლი ოლიმპიას კარში

თავისი მეორე გოლი გაიტანა ლატიურ „სკონტოში“ გასინჯვაზე მყოფმა ქვემოქართულმა ლადო დვალიშვილმა. ამჯერად, მისი გოლი გამარჯვებისა აღმოჩნდა — „სკონტომ“ 1:0 მოუგო ბელგრადის „ოლიმპიას“.

დვალიშვილი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა, ბურთი კი თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გაიტანა.

დავით გამეზარდაშვილმა სრულად ითამაშა. რაც შეეხება ზაალ ელიავას, მწვრთნელმა სანაკრებო მატჩის შემდეგ დასვენების უფლება მისცა.

მიხეილ შოკოლიანი

ალაპიკე უსხო გზაზე

„ამერის“ ფლანგელი ნახევარმცველი არჩილ ალავიძე ლატიურ „ვენტსპილსში“ წავიდა.

როგორც შევიტყვეთ, ალავიძე რომან გრიგორჩუკის გუნდში გასინჯვაზე მიიწვიეს და „ამერმაც“ ხელი არ შეუშალა თავის ფეხბურთელს.

22 წლის ალავიძე „ვენტსპილსში“ ტესტ-მატჩებს გამართავს და თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, მერე კლუბებს შორის მოლაპარაკება დაიწყება.

შეგახსენებთ: „ვენტსპილსში“ ზურაბ მენთემაშვილი თამაშობს.

კახა ზალაგზაძე



ბადრი კითხილაძე ფოტო



ლადო ნადირაშვილმა პენალტიც მოიტყარა, მაგრამ...

ბადრი კითხილაძე ფოტო

გიორგი შაშიაშვილი: ახლა გზაზე ტყუილად ჩამოვდი... რალაც ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს



ავსტრიის მაქსბუნდესლიგა ევროპას არ აზანზარებს, მაგრამ იმ დონის მაინც არის, მისი ერთ-ერთი საუკეთესო მცველი საქართველოს ნაკრებში თამაშს რომ იმსახურებდეს. ლატვიასთან მატჩში კი რა მოხდა: კლაუს ტომპოლერმა გიორგი შაშიაშვილი გამოიძახა, მაგრამ წუთითაც არ შეუშვა მინდორზე. ჩვენ კონკრეტულად „შაშის“ კი არ ვეჭობავებით (ან კი რა შუაშია ქომაგობა), უბრალოდ, ნაკრების შემადგენლობის შერჩევისას კითხვები გვიჩნდება. გრაცის „შტურმის“ მცველ გიორგი შაშიაშვილს გუშინ ავსტრიაში დავეუკავებინდით და თავიდან საკლუბო ამბებზე ვკითხეთ...

— მალე ავსტრიის ჩემპიონატი განახლდება. რა ცვლილებები მოხდა „შტურმში“?

— რაც მთავარია, ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ, კარგი შეკრებები გავიარეთ და წესით, თამაშებზეც უნდა დავგეგმოთ. იმედია, სამეულში მოვხვდებით.

— მხოლოდ სამეულში? „შტურმი“ ლიდერია და ჩემპიონობაზე არ ფიქრობთ?

— არა, რატომ... ჩემპიონობაც შეიძლება. კარგი კალენდარი გვაქვს, 13 ტური დარჩა და „რაილსა“ და „ხალცბურგს“ შინ ვიღებთ. ჩემპიონატის დაწყებამდე „შტურმისგან“ ასეთ თამაშს არავინ ელოდა, მაგრამ ფაქტია, ლიდერები ვართ. ეგაა, ძალიან მძაფრი ბრძოლა იქნება ჩემპიონობისთვის.

— შენ რამდენჯერმე შეგიყვანეს ტურის სიმბოლურ ნაკრებში...

— ექვსჯერ მოვხდი სიმბოლურში, მე და ჩემი მეწყვილე კი პირველი წრის საუკეთესო ცენტრალურ მცველებად გვაღიარეს.

— ესე იგი, შენი გუნდი მონახე...

— კი, აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ. არც „ალანიაში“ გამომართლა, არც „ჩერნომორეცში“, აქ კი სხვა დონეა, სხვა მიდგომა. ხომ გაანია, მწვრთნელი როგორ გიყურებს, დალაგებულია გუნდი თუ არა... არ გამოვრიცხავ, უკეთეს გუნდშიც გადავიდე. გერმანია აქვია, იქაური გუნდებიდან ავსტრიის ჩემპიონატს გაფაციცებით უყურებენ.

— კონკრეტულად ხომ არ გქონია რომელიმე გუნდისგან მიწვევა?

— სეზონის ბოლომდე ჯერ დიდი დროა. ისე, 1 800 000 ევროდ შემაფასეს, მაგრამ თუ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა, „შტურმში“ ხელს არ შემიშლიან.

ილია ნანობაშვილი გოგობერიშვილი დაისვენებს

ავსტრიის „ბაკის“ საყრდენი ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი ვარჯიშისას დაშავდა. ექიმებმა ქართველ ფეხბურთელს გამოკვლევა ჩაუტარეს და, როგორც გაირკვა, გოგობერიშვილი ერთი თვე ვერ დაეხმარება გუნდს.

ილია ნანობაშვილი

ზედიზედ მესამე მატჩია, ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერჯის“ ნახევარმცველი ლევან გვაზაშვილი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ საკონტროლო მატჩებია, მაგრამ ვლადივოსტოკელთა მწვრთნელი ბორან ვულიჩი ჩვენებურს ლიდერად მიიჩნევს. მორიგი გოლი გვაზაშვილმა ბულგარულ „ჩერნო მორესთან“ მიითვალა. „ლუჩი“ პირველი ტაიმის შემდეგ იგებდა, მერე კი მწვრთნელმა შემადგენლობა მთლიანად შეცვალა და მატჩი 1:1 დასრულდა. თურქულ შეკრებაზე მყოფი ქართველის თამაში არც ყურნალისტებს გამოორჩენიათ...



გოლფი არ გამოვივიდა ლევან გვაზაშვილს ტესტებში გოლანგს

— პირველ და მეორე შეკრებებს შორის რა განსხვავებაა?

— პირველი შეკრებისას შევხვალვით ვიყავით დაბრუნებულები და უფრო ადვილად პროცესებზე ვმუშაობდით. ახლა მთელი აქცენტი „ფიზიკაზე“ გადატანილი. ვვარჯიშობთ სატრენაჟორო დარბაზში, მოედანზეც უფრო გაიზარდა დატვირთვა. სათამაშო კონდიციებზე კი იაპონიაში, მესამე შეკრებისას ვიმუშავეთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ პასუხისმგებლობა იზრდება და შარშანდელი სეზონი აღარ უნდა განმეორდეს.

— ახალ მწვრთნელს გამოჩენული ვარჯიშები აქვთ?

— დიახ. სამივე მწვრთნელისგან ბევრს ვსწავლობთ. სასიხარულოა, რომ მათ მრავალმხრივი და განსხვავებული ვარჯიშები აქვთ. არასდროს იმეორებენ ერთი და იგივეს. ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია და ვნახე, რომ ყველას თავისებური მიდგომა აქვს.

— ვულიჩს თუ შეადარებ ყოფილ მწვრთნელ პავლოვს?

— ეს შეუძლებელია. ძალიან განსხვავებული მწვრთნელები არიან. მომწონს ვულიჩთან მუშაობა.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— თავისუფალი დრო ცოტაა. თუმცა პირველი შეკრებისას ბელუკი თითქმის შევისწავლეთ — კარგი სასტუმროა, რამდენიმე გოლ-

ფის მოედანი აქვს, მაგრამ ბიჭები არ თამაშობენ. მე ერთხელ მოვსინჯე და ბურთს ყვანჯი ვერ მოვახვედრე. ჩვენი საქმე ფეხბურთია. ინტერნეტი, წიგნები, ფილმები აი, ეს არის ჩვენი გასართობი. სეზონისთვის მობილიზებულად ვმზადდებით და განწყობაც სერიოზული გვაქვს.

— ახალწვეულები ბევრი გყავთ, ძირითადი შემადგენლობის პრეტენდენტებთან შეგობრობთ?

— ყველასთან ვმეგობრობ, თუმცა უფრო დაკოსტას დაუვახლოვდი, კეთილი და უშუალო ბიჭია.

— ოთახში ვისთან ერთად ხართ?

— „ლუჩის“ საუკეთესო ფეხბურთელთან — გიორგი ბაზაგეთთან.

ანუი ქართულად უბავს

მასაჩუსეტსის „აინი“ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართა და ბელარუსულ „გომელს“ 3:1 მოუგო.

დაღესტნელები თავიდანვე აგებდნენ, თუმცა ჯერ გორა ხოჯაევამ გაათანაბრა, შემდეგ კი მიხეილ აშვეთიამ წინ გაიყვანა თავისიანები. მესამე გოლი კი ომ-

არ თეთრადის გუნდმა მატჩის ბოლოსკენ გაიტანა. ვალერი აბრამიძემ, გიორგი ნავალოვსკიმ, ხოჯაევამ და აშვეთიამ პირველი ტაიმი ითამაშეს, რევაზ ჯიქია, რევაზ ბარაბაძე და ზურაბ არბიანი კი მეორე ტაიმში გაისარჯნენ.

ილია ნანობაშვილი

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სპრია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	სიენა 1:0	0	განაცხადში არ იყო	17	0	5
ლევან მჭედლიძე	ემპოლი	შ	ლაციო 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	18
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლექბერნი	ს	არსენალი — დელს			10	0	8
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	დორტმუნდი 3:2	90		6	1	3
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	ს	ჰანოვერი 2:2	90		14	0	6
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ლეინიანიძე	მიუნხენ 1860	ს	ლაუტერნი 2:1	0	ტრავმირებულია	13	0	5
ოთარ ხიზანიშვილი	ფრაიბურგი	ს	პადერბორნი 2:3	0	სათადარიგო	1	0	6
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	ს	ზტ. პაული 2:2	0	განაცხადში არ იყო	9	0	18
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი	ს	ზტ. პაული 2:2	7	შეცვალა შევიდა	10	0	18
გიორგი სეთურიძე	კარლ ცაისი	ს	ზტ. პაული 2:2	0	განაცხადში არ იყო	0	0	18
დავით სირაძე	პადერბორნი	შ	ფრაიბურგი 3:2	0	განაცხადში არ იყო	9	0	17
ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი								
შოთა არველაძე	ლევანტე	ს	ბილბაო 0:1	0	განაცხადში არ იყო	0	0	20
შვეიცარია. სუპერლიგა								
სანდრო იაშვილი	თუნი	შ	სიონი 2:2	0	სათადარიგო	13	1	9
კვიპროსი. სუპერლიგა								
კლიმენტი ნიტაიშვილი	ანართოსისი	შ	ეთნიკოსი 5:1	63	შეცვალეს	4	1	1
ლევან მალრაძე	აპოლონი	ს	სალამინა 0:0	0		10	0	4
ლევან ქებაძე	ეთნიკოსი	ს	ანართოსისი 1:5	90		15	7	9

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ოქის და მუხიდობას!

ლელოება მუხიდობან ფოთლეზილა დატოვას ეპროკის ერთა თასი

საქართველო 22:7 რუმინეთი

თბილისი. 9 თებერვალი. „მიხეილ მესხი“. 16 საათი

საქართველო: ბარკალაია, შკინინი, კაჭარავა, ი. გიორგაძე, ჩხიკვაძე, მაღალურაძე, აბუსერიძე (კაპ); ბასილაია, ჩხაიძე, სუთიაშვილი, უჩავა, გორგოძე, ზირაქაშვილი, ნატრიაშვილი, შველიძე
შეცვლაზე შევიდნენ: გიგაური, სამხარაძე, დადუნაშვილი, ქუბრიაშვილი, ურუშაძე; **სათადარიგონი:** კვირიკაშვილი, მაისურაძე
ილ: გორგოძე; **იგ:** ბარკალაია; **4ს:** ბარკალაია; **სა:** მაღალურაძე

რუმინეთი: ვლაიკუ, ბიჯუ, გალი, დასკალუ, ჩინტუ, დიმოფტე, კალაფტიანუ; მერსოიუ (კაპ), ტინკუ, მაკოვი, კოსტე, პოპარლანი, პულიდა, ზებეგა, პასალაუ

შეცვლაზე შევიდნენ: ფერწუ, მიხალაკე, რუსი, ბურსენა; **სათადარიგონი:** ვლადი, კაპლესკუ, ადასკალიტი

ილ: ტინკუ; **იგ:** ლაიკუ

მსაჯები: ნილ ბილარდი; დევიდ უილიამსი, უილ დევისი (ყველა უელსი)

ირაკლი ფირაშვილი

ესეც მეორე! ტიმ ლეინის დამოძღვრებულმა ქართველმა მორაგებებმა მეორე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ზედიზედ მეორედ დაამარცხეს უხერხული მეტოქე რუმინეთი და ანთიმოზ ივერიელის თასიც დაიტოვეს.

სიხარული ყველა თასს მოჰყვება. სულ რომ ზემო მანხანის უბნების ჩემპიონატი მოიგოს კაცმა, ესეც სიამაყის მომგვრელია, რომ აღარაფერი ვთქვათ, რაგბში ასეთი კერკეტი და პრინციპულ მეტოქეს წაქცევას. მაგრამ აქ მთავარი სულ სხვაა — საქართველოს ნაკრები, პირველ ყოვლისა, ბურთით თამაშობს და ასე აღწევს შედეგს. არადა, იდგა ისეთი დროც, როცა ქართველები ჭიდაობდნენ, იბრძოდნენ, ომობდნენ და ასე გაჰქონდათ ქართული ლელო.

რაგბი ბრძოლაა და უფვიროებს ამ სპორტში არაფერი ესაქმებათ, მაგრამ კარგი მორაგებეც ისაა, ვინც არა მხოლოდ ძალით, არამედ ჭკუითაც ირჯება. შაბათს „მიხეილ მესხზე“ „მუხებს“ შეტაკებული „ლელოები“ იყვნენ ძლიერებიც, ჭკვიანებიც და, რაც ყველაზე მეტად სანიშნოა, ბურთობაში თამაშები და არუმინებულები. ეს ერთი დიდი ნაბიჯია წინ. საინტერესოა, რა უთხრა და როგორ

გადაწყვიტა ათწლეულების განმავლობაში ძალისმიერი რაგბის მოთამაშე ქართველობა ავსტრალიელმა მწვრთნელმა ასე ორ კვირაში? გუნდს ვინდა გადახალისებული დაარქვით, ვინდა რეფორმული, თამაშით კი მშვენივრად თამაშობს თანაც ტიმ ლეინმა ერთი წელი ითხოვა გუნდის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ აქედანვე ცხადია, რომ „ლელოებს“ ვადაში თავის დაზღვევა არც სჭირდებათ. ეს უკვე მძლავრი გუნდია და პორტუგალია და რუმინეთიც იოლად ჩამოიშორა 2007-08 წლების ერთა თასისთვის ბრძოლაში.

რუმინეთი გვირავანდა გადახალისებული გვესტუმრა, ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ მსოფლიოს თასზე ნაწილობრივ მოხურთალების შინ, ანუ საფრანგეთში დატოვებით ვლანები არასერიოზულად მოეკიდნენ ამ მატჩს. რუმინეთში მოხურთალობა შედეგინდ ამ ნაკრებს სულაც არა აქვს შეუთამაშებლობის პრობლემა, რაკილა ევროპის საკლუბო ქველიგაში, ჩელენჯ-ქაუზე ერთ გუნდად გამოდის. „მუხის ფოთლებს“ ბოლოსა და დამატებით მველი მფომრები მარიუს ტინკუ და დანიელ დიმოფტე და ორივემ საკადრისად გააძლიერა სამფორიანთა ნაკრები. ქართველთა ძველი მტერი ტინკუ რუმინული რაგბის გამორჩეული სახეა, თავზედო-

ბამდე თამაშია და თანამემამულეთაგან განსხვავებით, მოედანზე ტყუილად კოტრაილიც არ სჩვევია. თანაც, წონის მიუხედავად, ის იმდენად მობილურია, მწვრთნელმა ამპლუით ჰუკერი (2) ფლანკერად (7) ათამაშეს და ამგვარად ოთხი პირველხარისით მოგვეცაძენ. ამის გამოც „მუხები“ მოლოში მძლავრობდნენ და ერთადერთი ქულიანი შეტევაც ძალისმიერი ჰქონდათ.

გუნდის შეტევებს კარგად უძღვებოდა დანიელ დამოფტე, რომელმაც ტაქტიკური დარტყმებით უხერხულობა შეუქმნა ქართველებს, მაგრამ მთლიანობაში რუმინელთა კარგი თამაში ამ მატჩში მხოლოდ კუნძულებად ჩანდა, ქართველები კი, თუ ამ „რუმინულ“ ეპიზოდებს არ ჩავთვლით, ერთი თავით აღემატებოდნენ მეტოქეს.

ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც: ტიმ ლეინის განკარგულებაში ორი 10 ნომერი იყო, ორ მსოფლიოს თასზე ნათამაშები მერაბ კვირიკაშვილი და ნაკრების ახალბედა ლაშა მაღალურაძე. ავსტრალიელმა მეორე ირჩია და მაღალურაძემაც გაამართლა. უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ყოფილი ნახევარმცველი 80 წუთი დარჩა მოედანზე და მართლაც, ორჯერ ხაზში უზუსტო პასი გააკეთა, მაგრამ მინც დამა-



გოდერძი შველიძე — ქართული შერკინების ხერხემალი

ჯერებელი იყო და მისი სახით „მეკოს“ სერიოზული კონკურენტი გამოჩნდა. მოსაწონი იყო მეორე ტაიმში მისი არეკნიც, თან ისეთ სიტუაციაში, საიდანაც დარტყმას ძლიერი ნერვები და ულკინსონის ოსტატობა სჭირდება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქართველებმა ლელო მინც ძალისმიერი გაიტანეს. მატჩი რომ დაიწყო, რუმინელები პირველივე დარტყმის შემდეგ მოგვეცაძენ, მაგრამ უშედეგოდ და, ორიოდ წუთში თავადვე გაუშვეს ლელო. ქართველებმა ისინი ჩათვლის მიუდანთან მიიმწყვდიეს და რამდენჯერმე გუნდურად დაარტყეს, მაგრამ „მუხებს“ თითქოს ფესვი გაღვათ ვაკის მიწაზე. მაშინ „ლელოებმა“ ბურთი ოდნავ გამოიტანეს და დეკაცმა მამუკა გორგოძემ თავისებურად, მარტომ შეგლიჯა დამცველთა ბჭე.

პორტუგალიასთან ნათამაშები ირაკლი ყასაშვილის ნაცვლად მოთამაშე ითარ ბარკალაიამ გორგოძის ლელოც გარდასახა და მერეც შედეგიანად ურტყა. ოდნავ მოგვიანებით მან საჯარიმოც გააძვირა ძელებშუა და „ლელოები“ 10:0 დააწინაურა. ეს ანგარიში ზუსტად ასახავდა ძალთა თანაფარდობას. ქართველები რუმინელებზე გაცილებით მაღალი

კლასის რაგბის თამაშობენ და თანაბრად ტვირთავდნენ შერკინებასაც და ხაზსაც — პირველი მუშაობდა, მეორე კი უნარიანად და მრავალფეროვნად უტევედა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს ქართველები თითქოს ცოტა მოიდალნენ და მოდუნდნენ. დიმოფტეს დარტყმებს რუმინელებმა მძლავრი მოლი მოაყოლეს, მეორე ცდაზე ტინკუმ დაამიწა ბურთი, ვლაიკუმ კი გარდასახა და ტაიმიც 10:7 დასრულდა.

მეორე ნახევარში ყველანი დაძაბულ ბრძოლას ველოდით და გასახულელშიც რუმინელები ალბათ ქაცვებს ილესავდნენ. მაგრამ ბრძოლა არც შედგა. ვერ გეტყვით, ტიმ ლეინმა „ლელოებს“ შესვენებაზე კონკრეტულად რა მითითებები მისცა, მაგრამ მათ ერთი წამითაც არ დაუჭვებიათ ქომავი თავიანთ გამარჯვებაში, იმდენად პრავდატულები და შედეგზე მომართულები იყვნენ.

განახლდა თამაში, შეტევაზე გადასულმა ქართველებმა რუმინელებს ჯარიმა აჰკიდეს და ბარკალაიამ გაიტანა. რამდენიმე წუთში მორიგ შეტევაში მაღალურაძემ არეკნით 9 ქულამდე გაზარდა სხვაობა. ქართველები ძალებს აღარ ფლანგავდნენ და სხვაობას მეთოდურად ზრდიდნენ. რუმინეთი გატახილი იყო, საკითხავი ისდა რჩებოდა, რამხელა სხვაობით წააგებდა. სტუმრებისგან მოსალოდნელი იყო ბოლო გაბრძოლება, მაგრამ ქართველებმა კარის გაჯახუნების შანსიც არ მისცეს. ბარკალაიამ კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და „ლელოებს“ 11 თამაშში მეოთხედ და სარეკორდო სხვაობით დასცეს „მუხები“.

ერთა თასზე რუმინეთს ექვს თამაშში სამი წაგება (ორი ქართველებთან) დაუგროვდა და ასევე სამარცხიანი პორტუგალიის დარად, ვეღარ გაავრძელებს ერთა თასისთვის ბრძოლას.

დავრჩით ქართველები და რუსები — ჩვენც და მათაც თითო მარცხი გვაქვს და გადამწყვეტი იქნება 12 აპრილს კრასნოიარსკში ჩვენი ჯახი, სადაც ერთმანეთს ტიმ ლეინის და კლოდ სორელის გუნდები შეეტაკებიან.

დღესაც კარგად გვახსოვს მუსიე კლოდი, ვინაც ქართული რაგბი დიდ სარბიელზე გამოიტანა, დღეს კი რუსებს ასწავლის მწვობრში დგომას. რამდენად შორს წაგვწევს ტიმ ლეინი? ეს მოგვიანებით შემდეგ გამოჩნდება, მანამდე კი კიდევ ერთხელ დავამარცხოთ რუსეთიც და სხვებიც მოედანზე ომითაც და თამაშითაც!



მამუკა გორგოძემ რუმინელები დატანჯა და დააღლეოვა

გადარი კაითილაპანს ფოტო

გადარი კაითილაპანს ფოტო

ნამატრეზს

მარინ მოცი, რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი: შედეგით და გუნდის თამაშით, ცხადია კმაყოფილი არ ვარ. მეტიც, რამდენიმე მორაგბეზე გაგებრადი კიდევ. პირველ ტაიმში გუნდი ჩემს დავალებას ასრულებდა და თანაბარი ბრძოლაც იყო, მეორე ტაიმში კი რატომღაც ექსპერიმენტებს მიმართეს, ჩემი დავალებები აღარ შეასრულეს და დავისავეთ კიდევ. ვერ ვიტყვი, რომ მსაჯმა იდეალურად იმსაჯა, მეორე ტაიმში რაღაც ჯარიმები გამოიგონა და ქართველებს უპირატესობა მისცა. ქართველებმა კი ეშმაკურად და ტაქტიკურად გამართულად ითამაშეს და მოიგეს კიდევ. ახლა ჩვენ სერიოზული მუშაობა მოგვიწევს, საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერებს შიგადაშიგ გამოვიძახებ, მაგრამ მომავალი ნაკრების ხერხემალი ამ გუნდიდან უნდა შედგეს. ერთა თასის მოგებას წლებულს ალბათ, ვეღარ შევძლებთ და ივნისში რუმინეთში გასამართ მსოფლიოს ერთა თასისთვის სერიოზულად მოვემზადებით.

კონსტანტინ მერსიოუ, რუმინეთის ნაკრების კაპიტანი: ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მატჩის წინ ვთქვი კიდევ, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი, ახლა კი... მსაჯი რამდენჯერმე შეცდა, მეორე ტაიმში ჩვენც ავირიეთ და, როდესაც თანაბარი ძალის მეტოქეს ვთამაშებთ, ეს ფაქტორები დამლუპველია.

ტიმ ლეინი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: მსაჯზე ვერაფერს ვიტყვი. მას უმაღლეს დონეზე დებიუტი ჰქონდა და შესაძლოა, ცოტას ნერვიულობდა კიდევ, მაგრამ ამას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. საქართველოს ნაკრებმა კარგად დაიწყო მატჩი და ასევე გააგრძელა. თუმცა პირველი ტაიმის ბოლოს იყო ხუთწუთიანი მონაკვეთი, როდესაც ჩვენმა შერკინებამ კონცენტრაცია დაკარგა და ამის გამო ლელო გავუშვი. იყო პატარ-პატარა შეცდომები, როდესაც დაცვიდან ფეხით დარტყმული ბურთი ხელით ამოჰქონდათ და — პირიქით, თუმცა ამ ყველაფრის აღმოფხვრა დროის ამბავია. მთლიანობაში კი გუნდი დღითი დღე პროგრესირებს და სიახლეებს თვალის დახამხამებაში ითვისებს.

ირაკლი აბუსერიძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი: ფაქტია, რომ თამაშის ხარისხს ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ, გუნდის იდეალურ დონემდე მიახლოებას კი კიდევ ერთი წელი დასჭირდება. ხარვეზებს ბოლომდე ვერ აღმოფხვრით, მაგრამ ამ პერიოდში შეცდომების მინიმუმამდე დავყვანა შესაძლებელია. დღეს ათ ნომერზე ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა 20 წლის ლაშა მალალურაძემ და ფაქტურად დებიუტანტის კვალობაზე, ნერვიც არ ატოკებია. არეკნიც, რომელიც მან გაიტანა, თავდაჯერებულობის დამსახურებაა, რაც ათ ნომერს ყველაზე მეტად სჭირდება.

თქვენი ლელო გაგებანო!



გუშინცხინ საქართველოს ნაკრებმა ირაკლი აბუსერიძის კაპიტნობით უპრინციპულესი მეტოქე, რუმინეთი მიანგვრია და წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი თბილისში დატოვა. ირაკლი აბუსერიძემ 50-ე სანაკრებო კეპი მოიხვეჭა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და „რომპეტროლმა“ 1 500 დოლარიანი ჩეკი გადასცა.

გუშინ კი ჩვენი „ლელოების“ ყოჩს, ირაკლი აბუსერიძეს, შინაურულად „აბუს“, დიდი წვეულება ჰქონდა. ირაკლი აბუსერიძემ და მისმა მეუღლემ თონა კვიციანიძემ ჯვარი დაიწერეს. ირაკლის და თონას ჯვრისწერას მათი ორი წლის გოგონა, სალომეც დაესწრო, ხოლო რესტორან „მოსკოვში“ დღამდე გამართულ ქეიფზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-მორაგბეებმაც მოიღვინეს. „აბუსე“ და ჩვენს ბიჭებზე დიასაც რომ ალაღია გემრიელი მოღვინა, ჩვენ კი ჯვარდაწერილ ოჯახს დიდ სიყვარულს, ბედნიერებას და ღვთის მფარველობას ვუსურვებთ. თქვენი ლელო გაგებანო!

ეჭვსი პარი 2008

დრაკონები და მაქლუბი

უელსი 30:15 შოტლანდია
 უელსი: ბერნი, რობერტსი, შენკლინი, ჰენსონი, შ. უილიამსი; პუკი, ფილიპსი, რ. ჯონსი (კაპ), შ. უილიამსი, ტომასი, ევანსი, იანპო, ა. ჯონსი, ბენეტი, დ. ჯონსი
 სათადარიგო: რისი, ჯენინსი, დ. ჯონსი, დელევი, პილი, ს. ჯონსი, პარკერი
 3ლ: უილიამსი (2), პუკი; 3გ: პუკი (2), ს. ჯონსი; 3ს: პუკი, ს. ჯონსი (2)

შოტლანდია 26:21 ირლანდია
 საფრანგეთი: ემონსი, რუფრი, მარტი, ტრაი, კლერკი, სკრედა, ელისალდე; ბონარი, დუზატუარი, უდრაუგო, ნალე, მელა, ფურე, შარფეცკი, მა
 სათადარიგო: სერვა, რუნუ, ფაიუ, პიკამოლე, მ. პარა, ტინ დიუ, ფლოკი
 4ლ: კლერკი (3), ემონსი; 3გ: ელისალდე
 ირლანდია: დემფსი, მერფი, ბ. ოდრისკოლი, ტრიმბლი, კერნი, ოპარა, რედანი, ფილიფი, დ. უოლესი, ლემი, ოკელი, ოკლაპანი, პიეისი, ჯექმანი, პორანი
 სათადარიგო: ბესტი, ბარკლი, მ. ოდრისკოლი, ისთერტი, სტრინგერი, მ. უოლესი, მორგანი
 2ლ: უოლესი, საჯარიმო ლელო; 1გ: ოპარა; 3ს: ოპარა

უელსმა შოტლანდიაც იმსხვერპლა. უორენ გატლანდის ბიჭებმა საკუთარ მოედანზე სქოთებიც ინგლისის გზას გაუყენეს და ზედიზედ მეორე გამარჯვება მითითაღეს. „დრაკონებმა“ მრავალი სალელოვ მემენტები მხოლოდ სამი გამოიყენეს. ისინი მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდნენ, ლაღად ბურთობდნენ და ჰკვიანურად იღვინებდნენ. სტუმრებიდან თუ ვინმე გამოსარჩევია, ეს კრის პატერსონი გახლავთ, ვისი ჯარიმების წყალობითაც მატჩმა გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნა ინტრიგა. შოტლანდიელების თამაშის ხარისხი კი ცუდიდან უკვე ძალიან ცუდში იყო გადასული. შოტლანდიელებმა ერთი ვერ იბრძოლეს და ცხრილის ბოლოშიც მოექცნენ.

შოტლანდიელთა წვალებას წერტილი შეინ უილიამსმა 67-ე წუთზე დაუსვა თავისი მეორე ლელოთი. მეცვლაზე შესულმა სტივენ ჯონსმა გარდასახვაც მიაყოლა. იმავე ჯონსმა შეხვედრის მიწურულს ორი ჯარიმითაც დასაჯა სტუმრები და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

შაბათის მეორე მატჩში ვინსან კლერკმა პირველ ტაიმში სამი ლელო გაუტანა ირლანდიელებს და შეხვედრის ბედი თავიდანვე გადაწყვიტა, მაგრამ ირლანდიელთა რაგბობას ცუდი არ ეთქმოდა. მათ ბოლომდე იბრძოლეს, რაც შეეძლოთ გააკეთეს, თუმცა „მაქლუბმა“ გამარჯვება რკინის „დეზებით“ გამოჭედეს. ახლა, ორი ტურის შემდეგ თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგები ტურნირის ამკარა ფავორიტები არიან. ირლანდიელთაგან კი ვეტერანმა რონან ოპარამ გამოიღო თავი, მას ოდ-



ეპროვის ერთა თასი 2007-08

საქართველო	6	5	0	1	+146	10
რუსეთი	5	4	0	1	+80	8
რუმინეთი	6	3	0	3	+56	6
ესპანეთი	6	3	0	3	+23	6
პორტუგალია	5	2	0	3	-28	4
ჩეხეთი	6	0	0	6	-277	0

16 თებერვალი
 პორტუგალია — ჩხეთი
23 თებერვალი
 პორტუგალია — საძართველო
 ესპანეთი — რუმინეთი
1 მარტი
 რუსეთი — პორტუგალია

8 მარტი
 რუმინეთი — პორტუგალია
 რუსეთი — ესპანეთი
15 მარტი
 რუსეთი — რუმინეთი
22 მარტი
 რუმინეთი — ჩხეთი
29 მარტი
 ჩხეთი — საძართველო
12 აპრილი
 რუსეთი — საძართველო
19 აპრილი
 ჩხეთი — რუსეთი
26 აპრილი
 საძართველო — ესპანეთი
10 მაისი
 ესპანეთი — პორტუგალია

იტალია 19:23 ინგლისი
 იტალია: ბორტოლუჩი, რობერტსონი, კანალე, მირკო ბერგამასკო, გალონი, მასი, ტრავალი; პარიზე (კაპ), მაურო ბერგამასკო, სოლე, ფავა, დელაპე, კასტროჯოვანი, ჯირალდინი, ჩიჩერო
 სათადარიგო: ფესტოჩია, მერჯინი, ნეიტი, ძანი, პიკონე, მარკატო, სეარბი
 1ლ: პიკონე; 1გ: ბორტოლუჩი; 4ს: ბორტოლუჩი
 ინგლისი: ბოლშოუ, საკი, ნუნი, ფლუდი, ვანიკოლო, ულიკინსონი, ომარსალი; ისტერი, ლიპენი, მესკელი, ბორსიკი (კაპ), შოუ, სტივენსი, რეანი, პეინი
 სათადარიგო: მირსი, ობსონი, კეი, ნე-რევი, უიგლესკორსი, სიპრიანი, ტაიტი
 2ლ: საკი, ფლუდი; 2გ: უილიკინსონი; 3ს: უილიკინსონი

ზურაბ მიხრაიული

საფრანგეთი	2	2	0	0	+26	4
უელსი	2	2	0	0	+22	4
ირლანდია	2	1	0	1	0	2
ინგლისი	2	1	0	1	-3	2
იტალია	2	0	0	2	-9	0
შოტლანდია	2	0	0	2	-36	0

საფრანგეთი

Table with match results for France: I ლიგის მონაწილეები, XXIV ტური. Results include Lyon 4:1, Monaco 0:0, etc.

კოლანდია

Table with match results for Kolkheti: მრავალფეროვნება, XXIV ტური. Results include various fixtures and scores.

ბელგია

Table with match results for Belgium: იუპილერილიგა, XXI ტური. Results include various fixtures and scores.

მეცელდერს ბაჭრინ

მეცელდერს „რეალის“ და გერმანიის ნაკრების მცველები კონტრაქტს...

რიჩარდსმა მოაწერა

„მანჩესტერ სიტის“ მცველმა მკა რიჩარდსმა კლუბთან კონტრაქტი...

სილვიო დაწინაურდა

შვეიცარიის მეორე დივიზიონში მონაწილე „ვილის“ ფორვარდის კარლოს სილვიო...

სარბიელი საქართველო სარბიელი საქართველო გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან

გამომცემელი წერაბა შოშიაძის სახელით დირექტორი ბიორგი ივანიშვილი

გამომცემლის მისამართი: თბილისი, კლდის ქვემოთ, სასაბურთალოს რაიონი, კარაჯაძის ქუჩა, სახლი 42, II კორპუსი